

Culture & Creativity

EU-Eastern Partnership Programme



საინფორმაციო ბიულეტენი კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლის შესახებ



პროგრამა ფინანსდება
ევროკავშირის მიერ

შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკური გავლენა

კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების წლიური შემოსავალია 535.9 მილიარდი ევრო, რაც შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 4.2%-ს. მოცემული სექტორი იკავებს მესამე ადგილს მსხვილი დამსაქმებლების რიგში, ისეთი სექტორების შემდეგ, როგორცაა მშენებლობა და კვების პროდუქტი და სასმელი - ბარები და რესტორნები. [1]

2012 წელს ყველაზე მსხვილი საქმიანობის სფეროები იყო სახვითი ხელოვნება (127 მილიარდი ევრო), რეკლამა (93 მილიარდი ევრო) და ტელევიზია (90 მილიარდი ევრო), რაც ერთად შეადგენდა კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების ნახევარზე მეტს. გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემის საერთო შემოსავალი შეადგენდა 107 მილიარდ ევროს. [1]

ევროპული განვითარების ძირითად ფაქტორს წამოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული საქმიანობა, რომელიც შეადგენს ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის 38.6%-ს. საავტორო უფლებათა დაცვის საქმიანობა, რომელიც წარმოდგენილია შემოქმედებითი ინდუსტრიების 11 სექტორით, 2012 წელს შეადგენდა ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის 4.2%-ს. [1]

გაერთიანებულ სამეფოში შემოქმედებითი ინდუსტრიების საათობრივი შემოსავალი შეადგენს 9.6 მილიონ ფუნტს. [2]

გაერთიანებული სამეფოს შემოქმედებითმა ინდუსტრიებმა შეიტანა ქვეყნის ეკონომიკაში 71.4 მილიარდი ფუნტი წელიწადში და უზრუნველყო 1.68 მილიონი სამუშაო ადგილი. ბოლო შეფასების მიხედვით, ეს ციფრები აღწევდა 84.1 მილიარდ ფუნტს წელიწადში და 1.9 მილიონ სამუშაო ადგილს. [2]

ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის ზრდა შეადგენს 8,6% წელიწადში, შესაბამისად, ის იკავებს მეორე ადგილს გაერთიანებული სამეფოს სწრაფად განვითარებად ინდუსტრიულ სექტორებს შორის. [2]

ხელოვნებაში და კულტურაში ჩადებული ყოველი ფუნტი ქმნის დამატებით 1.06 ფუნტს ეკონომიკაში. [6]

ეკონომიკური ზრდის დაფინანსება

წარმატება მდგომარეობს Edge ინვესტირების განხორციელებაში, ბრიტანული კომერციული ბანკის მიერ 40 მილიონიანი შემოქმედებითი ინდუსტრიების საინვესტიციო ფონდის მხარდაჭერით. [2]

2014 წელს შემოქმედებითი ინდუსტრიების მომსახურების ექსპორტმა მიაღწია 19.8 მილიარდ ფუნტს, რაც შეადგენს გაერთიანებული სამეფოს მომსახურების საერთო ექსპორტის 9%-ს. [2]

დასაქმება

7 მილიონ ევროპელზე მეტი დასაქმებულია პირდაპირ თუ ირიბად კულტურულ და შემოქმედებით სფეროში - ევროკავშირის აქტიური მოსახლეობის 3.3%. [1]

ევროპის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების უმსხვილეს დამსაქმებლებს შორის არის სახვითი ხელოვნება, სასცენო ხელოვნება და მუსიკალური ინდუსტრია. 2012 წელს მათ შექმნეს ევროკავშირის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში არსებული 7 მილიონი სამუშაო ადგილიდან დაახლოებით ნახევარი. სასცენო ხელოვნება (1,234,500), სახვითი ხელოვნება (1,231,500) და მუსიკა (1,168,000) - თითოეული მათგანი უზრუნველყოფს სამსახურით 1 მილიონ ადამიანზე მეტს. შემდეგ მოდის რეკლამა (818,000), წიგნები (646,000) და კინო (641,000). [1]

სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, გაერთიანებულ სამეფოში კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიები ასაქმებს იმდენივე ადამიანს, რამდენსაც კვების და სასმელების ინდუსტრია. ისინი უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილებით 2.5-ჯერ მეტ ადამიანს, ვიდრე საავტომობილო მწარმოებლები და 5-ჯერ მეტ ადამიანს, ვიდრე ქიმიური ინდუსტრია. [1]

2013 წელს, კულტურის და შემოქმედებით სექტორებში დასაქმდა, საშუალოდ, უფრო მეტი 15-29 წლის ასაკის ადამიანი ვიდრე რომელიმე სხვა სექტორში (კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებში საერთო დასაქმების 19.1% დანარჩენი ეკონომიკის 18.6%-ის წინააღმდეგ). აღნიშნული ტენდენცია უფრო მეტად არის გამოხატული აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში: საშუალოდ, შემოქმედებით ეკონომიკაში 1.3%-ით მეტი სამუშაო ადგილია ახალგაზრდებისთვის, ვიდრე ეკონომიკის დანარჩენ სფეროებში. [1]

გაერთიანებულ სამეფოში უკვე აღინიშნება შემოქმედებითი დასაქმების მაღალი პროცენტი, რაც შეადგენს სამუშაო ძალის 24%, და წარმოადგენს შემოქმედებითი პროფესიების 87%, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში არ შეიცვლება რობოტებით. [7]

გაერთიანებულ სამეფოში 12 სამუშაო ადგილიდან ერთი იქმნება შემოქმედებით ეკონომიკაში, 2013-დან 2014 წლამდე ამ სფეროში დასაქმება გაიზარდა 5%-ით, იმ დროს, როცა ეკონომიკის სხვა სფეროებში სამუშაო ადგილების მატებამ შეადგინა მხოლოდ 2.1%. [6]

მუსიკის, სასცენო და სახვითი ხელოვნების სფეროებს გააჩნია თვითდასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ამ ჯგუფში 10-დან 7 სამუშაო ადგილი შექმნილი იყო თვითდასაქმების საფუძველზე. [3]

2011-დან 2013 წლამდე შემოქმედებითი ეკონომიკის სექტორის დიზაინის და მოდის დიზაინერთა ჯგუფში დასაქმების პროცენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (17.7%, ან 27,000 სამუშაო ადგილი). [3]

მრავალფეროვნება

გაერთიანებულ სამეფოში შემოქმედებითი ინდუსტრიების სამუშაო ადგილების დაახლოებით 11,4%-ს იკავებენ შავკანიანები, აზიელები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (BAME). [2]

კულტურა და ციფრული ტექნოლოგიები

ონლაინ შექმნილი საქონლის და მომსახურების პირველი შვიდეულიდან ორი კატეგორია მიეკუთვნება კულტურის სფეროს. ყველაზე ხშირად ონლაინ იძენენ წიგნებს: მყიდველების 35%-მა უკვე შეიძინა წიგნები ამ გზით. მეშვიდე ადგილზეა კონცერტების, ფესტივალების და თეატრის ბილეთები, ონლაინ მყიდველების 25% შედის ღონისძიების ჩატარების ვებგვერდებზე და ბილეთების სხვა საცალო მოვაჭრეთა ვებგვერდებზე. [1]

ევროკავშირის მომხმარებელი უკვე მიეჩვია მუსიკის მოსმენას, სატელევიზიო ან რადიო პროგრამების დაჭერას და თამაშების თამაშს მობილური აპარატებით. საშუალოდ, ისინი ატარებენ პლანშეტურ კომპიუტერთან თავიანთი დროის 70%, "მოიხმარენ" რა შემოქმედებით ნამუშევარს. „სმარტფონთან“ გატარებული დროის 50%-ს ისინი იყენებენ არა სატელეფონო საუბრებისთვის, არამედ თამაშებისთვის, ვიდეოს ყურებისთვის, მუსიკის მოსმენისთვის ან ინტერნეტის დათვალიერებისთვის. [1]

ევროპელი მომხმარებელი ერთერთი ყველაზე „ციფრულად განვითარებულია“ მსოფლიოში. დასავლეთ ევროპაში 197 მილიონი სმარტფონის მომხმარებელია, რაც ნიშნავს მსოფლიოს მასშტაბით მეორე ადგილს მაღალი კონცენტრაციის მხრივ, ევროპელების 73.1 % იყენებს ინტერნეტს. [1]

კულტურული და შემოქმედებითი შინაარსის ეკონომიკური გავლენა ჯკვიანი მონაცემების გაყიდვებზე (კულტურული და შემოქმედებითი შინაარსის სავარაუდო პირდაპირი გავლენა (ვიდეო, თამაშები, მუსიკა და სხ.)):

პლანშეტური კომპიუტერები 9.4 მილიარდი ევრო
სმარტფონები 22.27 მილიარდი ევრო
პერსონალური კომპიუტერები 10.35 მილიარდი ევრო [1]

‘ინფორმაციული ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული მომსახურება’ იყო ერთერთი მსხვილი ჯგუფი, რომლის შემოქმედებითი დასაქმება 2013 წელს შეადგენდა 825 ათასს. 2011 წლიდან ამ ჯგუფში აღინიშნებოდა სამუშაო ადგილების გაზრდა 117 ათასით (16.4%). [3]

2008 წელს მომხმარებლის მედიასა და გართობაზე განეული ხარჯების 12% ეთმობოდა ციფრულ პროდუქტს და მომსახურებას; 2017 წლისთვის ეს ციფრი, სავარაუდოდ, გაიზრდება 50%-მდე. [5]

ციფრული ტექნოლოგია უფრო მნიშვნელოვანი ხდება კულტურის ბიზნეს მოდელისთვის; ხელოვნების და კულტურის სფეროს ორგანიზაციების 51% ამჟამად იყენებს ინტერნეტს ახალი შემოსავლის წყაროების შესაქმნელად, 2013 წელს ეს ციფრი უდრიდა 17%-ს. [5]

2012 წელს, გაერთიანებულ სამეფოში განხორციელდა 200 მილიონი ფუნტის ინვესტირება რამდენიმე ადამიანის მიერ დაფინანსების გზით (crowdfunding), გამოთვლის თანახმად, 2013 წელს გაერთიანებული სამეფოს ზრდასრული მოსახლეობის 25% იყენებდა ინტერნეტ ტექნოლოგიას რესურსების და სახსრების გაზიარების მიზნით. ინგლისში გამოკითხული 947 კულტურის სფეროს ორგანიზაციების 73%-ს თქმით, ციფრულმა აქტივობებმა პოზიტიური გავლენა იქონია მათ მუშაობაზე. [5]

ხელოვნების და კულტურის სფეროს ორგანიზაციების 51% ამბობს, რომ

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ან არსებითია მათი ბიზნეს მოდელებისთვის; სავარაუდოდ, აღნიშნული ორგანიზაციები ჩართული იყვნენ შემოსავლის მომტან ონლაინ ისეთ აქტივობებში, როგორცაა სუბსიდია და ერთობლივი დაფინანსება. [4]

ციფრული რევოლუცია გარდაქმნის კულტურას, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა ასპექტებს. მან გაზარდა მონაწილეობის დონე არაფორმალურ კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობაში, შექმნა ურთიერთქმედების ახალი ქსელები და ფორმები, შეცვალა მიღებული ხელოვნების ფორმების წარმოება და განაწილება, ხელი შეუწყო ახალი ფორმების გამოჩენას. [5]

სახვითი ხელოვნება

მუზეუმების საშუალებით სახვითი ხელოვნება ხელმისაწვდომი ხდება ყველა მოქალაქისთვის. მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ხელოვნების შვიდი მუზეუმი მდებარეობს ევროპაში, სამი მათგანი პარიზში და ლონდონში. ლუვრი პარიზში მოინახულა დაახლოებით 10 მილიონმა ვიზიტორმა 2012 წელს, სხვა მუზეუმებმა მიიზიდეს 3 მილიონ ადამიანზე მეტი, რაც ადასტურებს მუზეუმის მიმზიდველობას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. [1]

გამოკითხვის დროს, ევროპის მუზეუმების ვიზიტორებმა განაცხადეს, რომ ეძებდნენ გართობას და სიამოვნებას (28%), განათლებას და სწავლას (26%) და ისტორიის კარიბჭეს (17%). [1]

ევროპა წარმოადგენს ხელოვნების წამყვან ბაზარს გლობალური მასშტაბით. მსოფლიო ბაზრის 34%-იანი წილით ევროპას (შვეიცარიის ჩათვლით) უკავია წამყვანი ადგილი გაყიდვების მოცულობით ხელოვნების დარგში, ის უსწრებს ჩინეთს (30%) და აშშ-ს (29%). [1]

ევროპის სავაჭრო ბაზარზე ხელოვნების დარგში დომინირებს გაერთიანებული სამეფო (ევროკავშირის ბაზრის 65%), შემდეგ მოდის საფრანგეთი (17%) და გერმანია (5%). თავისი გლობალური აუდიტორიით, ლონდონი წარმოადგენს ხელოვნების ცხელ წერტილს; კრისტის აუქციონი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში მდებარეობს, წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან აუქციონის სახლს. 2013 წელს მისმა ბრუნვამ, კერძო გაყიდვების ჩათვლით, შეადგინდა 7 მილიარდი აშშ დოლარი. [1]

2016 წელს ხელოვნების და ანტიკვარიატის ნიმუშების ექსპორტმა ევროკავშირიდან შეადგინა 6.2 მილიარდი ევრო, იმპორტმა კი 5 მილიარდი ევრო. ეს ასახავს ევროპის სტრატეგიულ როლს ხელოვნების ნიმუშების გაყიდვების დარგში მსოფლიო მასშტაბით. [1]

საშემსრულებლო ხელოვნება

უზრუნველყოფს რა დაახლოებით 1,234,338 სამუშაო ადგილს ევროპაში, საშემსრულებლო ხელოვნების სექტორი არის უმსხვილესი დამსაქმებელი კონტინენტის კულტურის და შემოქმედებით ინდუსტრიებს შორის, ექვსი სამუშაო ადგილიდან ის ქმნის ერთს. [1]

2011 წელს კონცერტების და მუსიკალური ფესტივალების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა საშემსრულებლო ხელოვნების საერთო შემოსავლის ერთ მესამედზე მეტი (37%). [1]

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 45% აღწერს ფესტივალების ევროპულ ბაზარს როგორც „ჯანსაღს“, 40% ამბობს, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა არ იქონია დიდი გავლენა მათ საინვესტიციო გეგმებზე. [1]

ზიგეტის(Sziget) რვადღიან მუსიკალურ ფესტივალს ყოველდღიურად ესწრება 65,000მსმენელი; ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება ბუდაპეშტში 1993 წლიდან. ასეთი ფესტივალები ღია ცის ქვეშ მნიშვნელოვან დამსაქმებლებს წარმოადგენენ, ქირაობენ რა ძირითადად ადგილობრივ, კარგად მომზადებულ და განათლებულ მუშა ხელს ახალგაზრდა თაობიდან. ეს სამუშაო ადგილები არ ივსება სხვა ქვეყნებიდან მოზიდული რესურსებით: ამით ჩვენი როლი უფრო იზრდება ადგილობრივ დონეზე. [1]

საშემსრულებლო ხელოვნება და ტურიზმი

საშემსრულებლო ხელოვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების მოზიდვაში: მაგალითისთვის, გაერთიანებულ სამეფოში ჩასული ტურისტების 9.2% დადის თეატრში, ესწრება მიუზიკლის, საოპერო და საბალეტო წარმოდგენებს. ევროპაში ჩასული ტურისტების მიზიდვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ადგილობრივი წარმოდგენები პარკებში, ლუდის ბარებში, რესტორნებში და კარვების ბანაკებშიც კი. [1]

ევროპის უმეტეს ქვეყნებში და დედაქალაქებში კულტურული მემკვიდრეობა ემყარება თანამედროვე თეატრის და მუსიკის დინამიზმს. [1]

2011 წელს, მხოლოდ საფრანგეთში კულტურაზე ორიენტირებული ტურიზმის შემოსავალმა შეადგინა 18 მილიარდი ევრო, რაც იყო ტურისტების მიერ დახარჯული საერთო თანხის 35%. [1]

2011 წელს თეატრალურმა აუდიტორიამ ბარსელონაში, რომელიც ევროპის ერთერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია, მიაღწია რეკორდულ რაოდენობას და შეადგინა 2.8 მილიონი მაყურებელი. [1]

საგამომცემლო ინდუსტრია

ევროპის საგამომცემლო ინდუსტრია უმსხვილესია მსოფლიო მასშტაბით, მსოფლიოს ათი წამყვანი გამომცემლისგან შვიდი ევროპელია. [1]

წიგნის ბაზრის გაყიდვები შეადგენს 36.3 მილიარდ ევროზე მეტს და არის ევროპული შემოქმედებითი ეკონომიკის მსხვილი კონტრიბუტორი, ის იკავებს მეხუთე ადგილს მსხვილ ბაზრებს შორის და უსწრებს ისეთ სფეროებს, როგორც კინოინდუსტრია და საშემსრულებლო ხელოვნება. მასში დასაქმებულია თითქმის 650,000 ადამიანი ევროპის მასშტაბით. ევროპაში დაახლოებით 150,000 მწერალია. [1]

ჟურნალები და გაზეთები

გაზეთების და ჟურნალების ინდუსტრიაში დასაქმებულია დაახლოებით 500,000 ადამიანი და მისი მთლიანი შემოსავალი შეადგენს 70 მილიარდ ევროზე მეტს, რაც მას ანიჭებს მეოთხე ადგილს მსხვილი შემოქმედებითი ბიზნესის სფეროში. საერთო გაყიდვების 60%-ს შეადგენს გაზეთები, რომლებიც იყიდება კიოსკში, მაღაზიაში ან გამოწერით მიეწოდება მომხმარებელს. გამომცემლების შემოსავლების ნახევარი შემოდის რეკლამიდან, რეკლამა წარმოადგენს მათი ისტორიული საქმიანობის მოდელის მნიშვნელოვან ელემენტს. [1]

ევროპას უკავია წამყვანი პოზიცია გაზეთების და ჟურნალების მსოფლიო ბაზარზე. ევროკავშირი-28 (EU28) წარმოადგენს უმსხვილეს მსოფლიო ბაზარს: 2012 წელს იქ გაიყიდა მსოფლიოს ჟურნალების თითქმის მესამედი, შემდეგ მოდიოდა აშშ (24%) და იაპონია (11%). [1]

ორი უმსხვილესი მსოფლიო პრეს სააგენტო, AFP და Reuters, ევროპული წარმოშობის არის. ზოგიერთი წარმატებული ახალი ბიზნეს მოდელიც ევროპულია: ყოველკვირეული ჟურნალი „Der Spiegel“ ეფექტურად გადავიდა ახალ პლატფორმებზე და ციფრულ კონტენტზე. ინტერნეტ გამოცემას, რომელშიც დასაქმებულია 60 ჟურნალისტი, ყოველ თვე კითხულობს 5.6 მილიონი მკითხველი და, ბეჭდური გამოცემისგან განსხვავებით, „Der Spiegel“-ის ინტერნეტ გვერდი მომგებიანია 2005 წლიდან. [1]

მუსიკალური ინდუსტრია

მუსიკალური ნამუშევრების შექმნით და შესრულებით დაკავებულია თითქმის 1.2 მილიონი ადამიანი, რომელიც მუშაობს მუსიკალურ ინდუსტრიაში. დარეგისტრირებული მუსიკოსების, კომპოზიტორების და სიმღერის ავტორების რიცხვი აღწევს 650,000. [1]

მუსიკალური ჩანაწერების ევროპული ბაზარი იმართება მზარდი ციფრული ბაზრით. 2009 წლიდან 2013 წლამდე ციფრული მუსიკალური ჩანაწერების გაყიდვები ევროპაში გაიზარდა 109%-ით. [1]

ევროპელები არიან ჩანაწერილი მუსიკის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები მსოფლიოში; 2013 წელს ევროკავშირის 4 ქვეყანა შევიდა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზრების ათეულში. IFPI-ს მიხედვით (ჩანაწერების ინდუსტრიის ორგანო), 2013 წელს ციფრული ჩანაწერების გაყიდვები შეადგენდა მუსიკალური ჩანაწერების გაყიდვიდან მიღებული საერთო შემოსავლის 39%-ს, აქედან 32% - ევროპაში. [1]

ჰონორარის შეგროვება უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციებიდან ევროპაში შეადგენს მსოფლიოს მასშტაბით საერთო რაოდენობის 60%-ს. აქედან 2,80% მოდის მუსიკალურ ინდუსტრიაზე. [1]

ციფრული ბიზნეს მოდელების შექმნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის მუსიკალური ინდუსტრიის წარმატებაში. ჩამწერი კომპანიები წარმატებით ავრცელებენ მუსიკას ციფრული არხებით, აფართოებენ ლიცენზირებული მუსიკის სამყაროს და წარუდგენენ არტისტებს მსოფლიო აუდიტორიას ინოვაციური გზებით. [1]

2013 წელს მუსიკის გამომწერის მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა მიაღწია 51.3%, რაც პირველად აღემატებოდა 1 მილიარდ აშშ დოლარს (დაახლოებით 750 მილიონ ევროს). [1]

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროპაში მნიშვნელოვნად განვითარდა მუსიკის ონლაინ მიწოდების სერვისი. 2013 წლისთვის, ევროპაში არსებობდა მუსიკის მიწოდების 230-ზე მეტი სერვისი, რომელიც სთავაზობდა ევროკავშირის ქვეყნებს 37 მილიონზე მეტ სიმღერას. 2013 წელს, ციფრული მუსიკის გაყიდვებმა შეადგინა ევროპის ჩანაწერილი მუსიკის გაყიდვების 32%, იმ დროს როცა ფიზიკურმა გაყიდვებმა შეადგინა 56%. [1]

კინოინდუსტრია

ბაზარზე, რომელიც შეადგენს 17 მილიარდ ევროს, დასაქმებულია, დაახლოებით, 650,000 ადამიანი. მისი ერთადერთი შემოსავლის წყაროა კინოს ბილეთების გაყიდვა - ეგრეთწოდებული „საერთო სალაროს შემოსავლები“ 2012 წელს აღწევდა საერთო რაოდენობის 36.5%-ს. [1]

გაერთიანებული სამეფოს „გართობის“ ბაზარი სიდიდით მესამეა მსოფლიოში. გაერთიანებული სამეფოს საკვალიფიკაციო ფილმების შემოსავალმა შეადგინა 4.1 მილიარდი ფუნტი, რაც არის მსოფლიო ბაზრის 11.4%. გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებელ ფილმებს ეკუთვნის მსოფლიო ბაზრის 1.6%, რაც შეადგენს 649 მილიონ ფუნტზე მეტს. ევროპაში გაერთიანებული სამეფოს ფილმების საბაზრო წილი მერყეობდა 10%-დან 16%-მდე. 2012 წელს კინო, ტელე და ვიდეო ინდუსტრიამ შემატა გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკას მთლიანი ღირებულების 9.8 მილიარდი ფუნტი. [1]

ბრიტანული ფილმების შემოსავალმა შეადგინა 4.1 მილიარდი დოლარი, რაც ნიშნავს მთლიანი სალაროს 11%-ს. 2011-2013 წლებში, ჯგუფს 'კინო, ტელევიზია, ვიდეო, რადიო და ფოტოგრაფია' ეკავა მესამე ადგილი შემოქმედებით ეკონომიკაში დასაქმების მზარდი პროცენტის მხრივ (11.8% ან 27,000 სამუშაო ადგილი). [5]

აღნიშნული ფილმების შემოსავალმა შედგინა 773 მილიონი ფუნტი, მხოლოდ ბრიტანული მაყურებლისგან. [5]

არქიტექტურა

არქიტექტურულ საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპის შემოქმედებით ეკონომიკაში; ევროპაში დაახლოებით ნახევარი მილიონი დარეგისტრირებული არქიტექტორია და შემოსავლები აღწევს 36 მილიარდ ევროს. [1]

რეკლამა

2012 წელს სარეკლამო ბიზნესის შემოსავლებმა შეადგინა 93 მილიარდი ევრო და მასში დასაქმებული იყო 820,000 ადამიანი. აღნიშნული სფერო წარმოადგენს ევროპული კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების მნიშვნელოვან ძალას. მას ეკუთვნის კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთო შემოსავლების 17%, ის მეორე ადგილზეა სახვითი ხელოვნების შემდეგ. [1]

მსოფლიოს სამი მსხვილი სარეკლამო ჯგუფიდან ორი მდებარეობს ევროპაში: „WPP Group“ ლონდონში და „PublicisGroupe“ პარიზში. მათი ბრუნვა შეადგენს 16.4 მილიარდ ევროს და 8.5 მილიარდ ევროს, შესაბამისად. [1]

რადიო

2012 წელს რადიოს ეკავა მეორე ადგილიმასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის, რომლებსაც იყენებდა ევროპელი მომხმარებელი, ტელევიზიის შემდეგ. ხუთიდან ოთხი ევროპელი ყოველ დღე უსმენს რადიოს ორი საათის განმავლობაში ან მეტხანს. აღნიშნული ინდუსტრიის შემოსავალი შეადგენს 10 მილიარდ ევროს და ის უზრუნველყოფს 97,000 სამუშაო ადგილს. [1]

ვიდეო თამაშები

ვიდეო თამაშების ინდუსტრიაში დასაქმებულია 100,000 ადამიანზე მეტი და მისი წლიური გაყიდვები შეადგენს 16 მილიარდ ევროს; ის არის გლობალური ძალის მქონე მოზარდი. [1]

ყოველწლიური ექსპორტის შემოსავალი შეადგენს 3 მილიარდ ევროს, რაც განაპირობებს იმას, რომ ვიდეო თამაშები ევროპის ყველაზე გაყიდვადი კულტურული დანიშნულების საქონელია. [1]

კულტურული მონაწილეობა და სამოქალაქო ჩართულობა

სხვადასხვა ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა ეხმარება ახალგაზრდა თაობას მოიპოვოს ნდობა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მიზნით, გარდა ამისა, კვლევებმა აჩვენა, თუ როგორ ასახავს საჯარო ხელოვნება საზოგადოების ცხოვრებას და მომავალს, როგორ მოიპოვებენ უმცირესობათა ჯგუფები კოლექტიურ ხმას, თვითმყოფადობას და აღიარებას. [4]

ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანები უფრო მეტად არიან ჩართულნი სამოქალაქო საქმიანობაში, ვიდრე ისინი, ვინც არ მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში. 'მოდელის თანახმად, საშემსრულებლო ხელოვნების მონაწილეებს 3.8-ჯერ მეტი შანსი გააჩნიათ, ვიდრე იმათ, ვინც არ მონაწილეობს აღნიშულ სფეროში, მიუხედავად განათლების, სქესისა ან სხვა დემოგრაფიული თვისებების', იგივე ეხება ხელოვნების სფეროში მონაწილეობისა და საზოგადოებრივ შეხვედრებს შორის კავშირს. სამოქალაქო ჩართულობის დონის სხვაობა კიდევ უფრო დიდი იყო მათთვის, ვინც თავად ქმნიდა ან ასრულებდა ხელოვნებას, განსხვავებით მათგან, ვინც უბრალოდ ესწრებოდა მას. [4]

2004 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაბალი ეკონომიკური სტატუსის და ხელოვნებაში ჩართულობის დაბალი დონის მქონე ახალგაზრდების მხოლოდ 1%-მა, იმ დროს როცა იგივე ეკონომიკური სტატუსის მქონე, მაგრამ ხელოვნებაში აქტიურად ჩართული ახალგაზრდების რიცხვმა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში, შეადგინა 45%. [4]



კულტურა და მშვიდობის დამყარება

ხელოვნების და კულტურის ჩარევა ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ, ეხმარება საზოგადოებას გაუმკლავდეს მიღებულ ტრავმას და მიაღწიოს შერიგებას. [4]

ხელოვნება ეხმარება ადამიანებს გაუმკლავდნენ მიღებულ ტრავმას, მიაღწიონ შერიგებას და გააგრძელონ ცხოვრება. გამოცდილების გაფართოების და ნეიტრალური გარემოს შექმნის პროცესში ხელოვნება უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე ჩვეულებრივი პოლიტიკური დიალოგი. მისი როლი მდგომარეობს ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ საზოგადოებებს შორის ხიდის გაბმვაში, ისევე როგორც საზოგადოების შიგნით არსებული ტრავმების ასახვაში, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია. [4]

ხელოვნებას შეუძლია შექმნას ალტერნატიული, უსაფრთხო სივრცე მოგონებების აღსადგენად, აზრების გადმოსაცემად, ურთიერთობების და ურთიერთგაგების ახალი ფორმების წარმოსადგენად. [4]

1. [http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Measuring_cultural_and_creative_markets_in_the_EU/\\$FILE/Creating-Growth.pdf](http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Measuring_cultural_and_creative_markets_in_the_EU/$FILE/Creating-Growth.pdf)

ზრდის ხელშეწყობა. ევროკავშირის კულტურის და შემოქმედებითი ბაზრის შეფასება. 2014 წლის დეკემბერი

2. <http://www.thecreativeindustries.co.uk/media/367095/final-version-july-5.pdf>

ერთად შექმნა. ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობის სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია შემოქმედებითი ინდუსტრიების საბჭოს მიერ.

3. http://www.thecreativeindustries.co.uk/media/281787/creative_industries_economic_estimates_-_january_2015.pdf

შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკური შეფასება. სტატისტიკური რელიზი. 2015 წლის იანვარი

4. <http://www.ahrc.ac.uk/documents/publications/cultural-value-project-final-report/>

2016 ხელოვნების და კულტურის მნიშვნელობის გაცნობიერება. AHRC კულტურის შეფასების პროექტი. 2016 წ.

5. http://www2.warwick.ac.uk/research/warwickcommission/futureculture/finalreport/warwick_commission_report_2015.pdf

ბრიტანეთის გამდიდრება: კულტურა, კრეატიულობა და განვითარება, უორვიკის კომისიის (WarwickCommission) 2015 წლის ანგარიში კულტურული ფასეულობების მომავლის თაობაზე

6. <https://www.theguardian.com/culture/2015/jul/13/publicly-funded-arts-bolster-the-uk-economy-study-finds>

გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ხელოვნების სფეროს მხრიდან. 2015 წლის ივლისი

7. http://www.creativeindustriesfederation.com/assets/userfiles/files/CIF_EduAgenda_spreads.pdf

შემოქმედებითი ინდუსტრიების ფედერაციის შემოქმედებითი განათლების პროგრამა